

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

29. 07. 2014 წელი

67/2

----- ქ. თბილისი № -----

სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა
მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების
განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის და
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის
№ 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის წესდების 20-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის მიერ შიდა მობილობის წესით
საგანმანათლებლო პროგრამების ვაკანტური ადგილების რეგისტრაციის ვადა
განისაზღვროს 18 აგვისტოდან 20 აგვისტოს ჩათვლით.
2. შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო
ერთეულის/ფაკულტეტის/პროგრამის შეცვლის მსურველთა შესაბამის
საგანმანათლებლო ერთეულზე/ფაკულტეტზე/პროგრამაზე რეგისტრაციის ვადა
განისაზღვროს 21 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით.
3. საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის მიერ სტუდენტებისათვის
კრედიტების აღიარება - 2 – 3 სექტემბერი.
1. შესაბამის ფაკულტეტებზე საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურებისა
(საშემსრულებლო-შემოქმედებითი მიმართულება) და საუნივერსიტეტო

გამოცდის/ტესტირების/გასაუბრების (ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის მიმართულებებზე - კონკურსის შემთხვევაში) ჩატარებისა და სააპელაციო კომისიის მუშაობის ვადა - 4-6 სექტემბერი.

2. შიდა მობილობის შედეგების გამოქვეყნება შესაბამის საგანმანათლებლო ერთეულზე/ფაკულტეტზე/პროგრამაზე - 8 სექტემბერი.

3. საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის/პროგრამის შეცვლის მსურველთა მიერ შეთანხმების (ძირითად ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) გაფორმება - 9 სექტემბერი.

4. საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის მიერ სტატისტიკისა და ანალიზის განყოფილებისთვის შიდა მობილობის წესით გადასული სტუდენტების სიის წარდგენა - 9 სექტემბერი.

5. შიდა მობილობის წესით სტუდენტების გადასვლის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის ბოლო ვადა განისაზღვროს - 10 სექტემბერი.

6. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურებს.

7. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., № 6.

საფუძველი: უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს

გადაწყვეტილება, ოქმი № 10,

29.07.2014 წელი.

რექტორი

გიორგი მარგველაშვილი